ეროვნული ბიბლიოთეკა

ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი

გალნეოლოგიური და ინპოლაციური მკურნალობა საქართველოში

საქართველოს წიგნის პალატა
ბეჭდვილია — 193 წ — ფასი
ფასი

სამეცნიერო-კვლევითი ფიზიოთერაპიის
19 ინსტიტუტის გამოცემა 35

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ს. ს. რ.

ჯანსახკომის კურ. მთ. სამმართველოს
მიხა ცხაკაიას სახელობის კურორტო-
ლოგიის და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო
საგამოკვლევო

ინსტიტუტი

დირ. დოც. ი. კონიაშვილი.

K 13.455
T

საქ. კურორტ. და ფიზიოტერაპიის
ინსტიტუტის გამოცემა

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ივ. ჯავახიშვილი

გალნეოლოგიური და ინჰოლაციური მკურნალობა საქართველოში

საქ. ტექნ. გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“

ტფილისი 1935

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ/მგ. რედაქტორი დოც. ი. კონიაშვილი.

მთავლიტ. № ა-3510.
ტირაჟი 2000.
შეკვ. № 183.

გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“-ს
სტამბა, ფურცელაძის ქ. № 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამკურნალო წყლებით მკურნალობა ძველ საქართველოში მიღებული და გავრცელებული იყო, მაგრამ ჯერ ჯერობით ამის შესახებ მხოლოდ მცირე ცნობები მოგვეპოვება. ის, რაც შერჩენილია, უმთავრესად სხვადასხვა სამკურნალო წყლების არსებობასა და მათ დანიშნულებას ეხება. თვით ამ წყლებით მკურნალობის წესის შესახებ მხოლოდ ორიოდე ცნობაა შენახული ისევე, როგორც ამ სამკურნალო წყლების მოწყობილობაზეც. იმ დიდი მნიშვნელობის გამო, რომელიც ამ ბუნებრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშუალებით მკურნალობას დაავადებული ადამიანის გაჯანსაღებისათვის ძველ საქართველოში უნდა ჰქონოდა, ამ მცირე ცნობების გათვალისწინებაც საჭიროა.

ამ საკითხის შესწავლისათვის უმთავრესი მნიშვნელობა ვ ა ხ უ შ ტ ბატონიშვილის საქართველოს გეოგრაფიასა აქვს: იქ საკმაოდ მოიპოვება ცნობები, როგორც საქართველოში მე-18-ტე საუკ. პირველ ნახევრამდე ცნობილი სამკურნალო წყლების შესახებ, ისევე მათ თვისებებზეც. ამ ცნობების საერთო ნაკლს მათი სიმოკლე შეადგენს. ამას გარდა, რაკი ვ ა ხ უ შ ტ ს საქართველოს ნაწილებითგან ყველაზე უკეთესად ქართლი და შემდეგ კახეთი ჰქონდა შესწავლილი, დასავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეთი საქართველო და მესხეთი, ანუ სამცხე-საათაბაგო-კი ნაკლებ სცოდნია, ამიტომ მის ნაშრომში ცნობები სამკურნალო წყლების შესახებ უმთავრესად ქართლისა და კახეთის აღწერილობაში მოიპოვება. დასავლეთ საქართველოსა და მესხეთის გეოგრაფიულ მიმოხილვაში ვახუშტს ამგვარი ცნობები თითქმის არ შეუტანია. ცნობათა ასეთ სამწუხარო ნაკლს დასავლეთ საქართველოს შესახებ ცოტა-ოდნად გერმანელი მეცნიერის აკად. ან. გულდენშტედტის თხუზულება ავსებს. რუსეთის სამეცნიერო აკადემიისაგან 1770 წლებში ის წარმოვლენილი იყო კავკასიასა და საქართველოში და ამ თავის მოგზაურობის აღწერილობაში მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვათა შორის ჩვენთვის საგულისხმო საკითხის შესახებაც აქვს ზოგიერთი ცნობები შეტანილი.

ვფიქრობ, რომ ჯერ იმ ცნობების მოყვანა ემჯობინება, რომელიც საქართველოში არსებულ სამკურნალო წყლებს ეხება.

ცნობები სამკურნალო წყლების შესახებ.

სრულებით ბუნებრივია, რომ ადამიანს სამკურნალო წყლებითგან ყურადღება პირველად სწორედ ცხელი წყლებისათვის მიეპყრო. ამგვარადვე გასაკვირველი არაფერია, თუ ყველაზე ადრე ტფილისის ცხელი წყლის აბანოების შესახებ გვხდება ჩვენ გეოგრაფიულსა და საისტორიო მწერლობაში ცნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბები. მართლაც ტფილისის ცხელი წყლის აბანოებს უკვე არაბთა გეოგრაფი ალ-ისტახრი იხსენიებს, რომლის შრომაც 930 წ. ახლო ხანშია დაწერილი. მას ნათქვამი აქვს: ტფილისში აბანოებია, რომლებშიც უცეცხლოდ ცხელი წყალიაო, ე. ი. ბუნებრივად ცხელი წყალი არის (Bibliotheca geographorum arabicorum de Goéje-ს გამოცემა 1870 წ. გვერდი 185-186 და კარაულოვის Сведения араб. писателей о Кавказе, Армении и Адербейджане: СМОМПК XXIX გვ. 10—13).

ტფილისის აბანოებზე ვახუშტ ბატონიშვილს თავის მე-18-ტე საუკ. პირველ ნახევრის საქ. გეოგრაფიაში შემდეგი ცნობები მოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოვება: „ტფილისს დის ცხელი წყალი კლდიდამ, არს მით აბანონი ექვსნი და დიდ-შენნი ავაზიანნი, მოდის მდინარე ცხელი წყალი“-ო. (აკად. ბროსსეს გამ. 186). მაშასადამე, სულ ექვსი, ფართოდ აგებული და დიდი აბაზანებით შემკული აბანო ყოფილა.

მე-17-ტე საუკ. პირვ. ნახ. საქართველოში ნამყოფს ფრანგ მოგზაურს შარდენ-ს ნათქვამი აქვს, რომ ქალაქ ტფილისში ჩვეულებრივი აბანოები ცოტა იყო, რათგან ყველანი ცხელი წყლის აბანოებში დადიანო. ამ აბანოების წყალი მინერალურია, გოგირდიანია და ძალიან ცხელია. ამ აბანოების წყლით მოსარგებლე სხვადასხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავადმყოფთა რიცხვი მხოლოდ საბანაოდ და სისუფთავისათვის მოსულ პირთა რიცხვზე ნაკლები არ არისო (Voyages de mr. le chevalier Chardin, en Perse et autres lieux de l'Orient, t. II, 1723 წ. გამ. გვ. 159—160).

შარდენის ცნობა იმ მხრივ არის ძვირფასი, რომ იქ გარკვევით არის ნათქვამი, რომ ტფილისის გოგირდის წყლის აბანოებით სამკურნალო მიზნით მაშინაც ფართოდ უსარგებლიათ.

აკად. ან. გულდენშტედტის ცნობით-კი 1771 წ. ტფილისში თითქოს მხოლოდ ხუთი აბანო-ღა (nach fünf Badestuben geleitet) უნდა ყოფილიყო. ამ მეცნიერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისის აბანოების ცხელი წყლის ქიმიური ანალიზი გაუკეთებია და გამოუკვლევია მისი შემადგენლობის მთავარი თვისება, გოგირდიანობა,რაც,როგორც დავრწმუნდით, წინათაც ცნობილი იყო. მისი სიტყვით-კი ადგილობრივი მცხოვრებნი ამ აბანოებს თითქოს მხოლოდ საბანაოდ და საცვლების გასარეცხად ხმარობდნენ და მათი სამკურნალოდ გამოყენება პირველად ვითომც მარტო მას შემოეღოს. ამ ავტორის სიტყვით, ტფილისის გოგირდის ცხელი წყლის აბანოები სისხლნაკლებობის დროს (Gelbsucht), ქარებისა და გაშეშებულ სახსრების წინააღმდეგ კარგად მოქმედობდა, როგორც გარეგან, ისევე შინაგანი ხმარების საშუა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებით (Reisen durch Russland und im Caucasischen Gebürge I, 222—223).

აბანოები საყოველთაოდ იყო მოწყობილი: ორივე სქესის საბანაოდ (იქვე I, 269).

საკმარისია ადამიანმა ფრანგი მოგზაურის, შ ა რ დ ე ნ ი ს, ზემომოყვანილი ცნობა გაიხსენოს, რომ დარწმუნდეს, თუ რამდენად მცდარია გ ვ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ცნობა, ვითომც ადგილობრივ მცხოვრებთ ტფილისის აბანოების წყლის სამკურნალო თვისებებზე მანამდე არა სცოდნოდეთ-რა. როგორც დავრწმუნდით, ეს გარემოება საუკუნენახევრით ადრეა დადასტურებული და, რასაკვირველია, ამაზე დიდი ხნით უწინარეს აც კარგად ეცოდინებოდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი დროითგანვე ამ განთქმული ტფილისის აბანოების შესახები ცნობის გარდა, ვახუშტს აღნიშნული აქვს, რომ ქ. ოძრხეს (ეხლანდელ აბასთუმანს) „ცოტა ქვეით, სამხრით არს მთის კალთას წყარო გამომდინარე ფრიად დიდი და ცხელი, მდუღარის მსგავსი, რომელსაც უწოდებენ ოცხეს. მას ზედა არს შენი და ბანაობენ მრავალნი, რამეთუ კურნებს ქარით დახუთულებსა ძლიერსა, მუწუკსა და ბუგრსა ძნიად საკურნებელსა მკურნალთაგან“ (გეოგრაფია 86).

ამავე მეცნიერის სიტყვით ატენის „ციხის გორის ჩრდილოთ კერძ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სდის თბილი წყალი მკურ-
ნალი ბუგრისა და სდის
სხვაცა ცივი წყარო“-ო
(ვახუშტი გეოგრაფია 200).

ხოლო ზედაზნის მონასტ-
რის „ეკლესიის კამარიდამ
სწვეთს წყალი და უდგს
ქვემორ აბაზანი ქვისა და
შეიკრიბების მას შინა... და ჰკურ-
ნებს სენთაცა“-ო. (ვახუშტი გეო-
გრაფია 300).

ბრეძის მახლობლად მდე-
ბარე „აბანოს დის თბილი
წყალი, ჰკურნებს ქარით
დახუთვილსა და ბუგრსა,
მუწუკსა“-ო (ვახუშტი გეოგ-
რაფია 264).

სახელოვანი ქართველი გეოგრა-
ფის ცნობით, თრიალეთის მთების

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკიდურეს დასავლეთის ნაწილში, არჯევნის „მთის თხემსა ზედა არს წყარო: თუცა სვას დაცონილმან, ჰგონებს სამ დღე უჭმელობასა. და შემკულ არიან მთანი ესენი შვენიერებითა“-ო (ვახუშტი გეოგრაფია 204).

ამგვარადვე, ამავე ავტორის სიტყვით, ჯავახეთში, სახელდობრ, ფარავნის ტბასთან „არს წყარო, რომლისა სმით, უკეთუ იყოს ვინმე მაძღარ ფრიად ანუ დაცონვილ, მოადნობს სმითა, ვითარცა ქონსა ცეცხლი“-ო (ვახუშტი, გეოგრაფია 162).

ამავე თვისების მქონებელი ყოფილა საქართველოს უკიდურეს ჩრდილოეთ თემში მდებარე წყლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

К 13.455 1

ბიც, რომელთა შესახებ ვახუშტს ნათქვამი აქვს: დვალეთში ვეძას „დიან წყარონი ფრიად ანკარანი, მომლაშონი, არამედ საჭმლის მომდნობნი და მომნელებელნი, და სმენ მუნებურნი, უწოდებენ ვეძას, პირუტყვთ შემრგო გამასუქებელი“-აო (ვახუშტი გეოგრაფია 238).

აკად. ან. გვლდენშტედტს ალნიშნული აქვს, რომ უწერაში სხვადასხვა მინერალური წყლებია: ზოგი ტუტოვანია, ზოგი რკინოვანი (theils alkalische, theils martialische) სწორედ ისევე, როგორც თერგის პირას მდებარე სიმონსა და [illegible]შია.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტადრე ერთი ტუტოვანი და ერთიც მის მახლობლადვე და ეკლესიის გვერდით მდებარე რკინოვანი (martialische) არის საუცხოვოო. ამ სამკურნალო წყლების დიდ ღირსებად გვლდენშტენდტს ის გარემოებაც მიაჩნდა, რომ ერთი მეორეს გვერდით მდებარეობენ, რათგან ქრონიკული დაავადების დროს ორივეა საჭირო და, რკინოვანი (martialischen) წყლის ხმარების შემდგომ, უეჭველად ტუტოვანი წყლით მკურნალობაა საჭიროო. ამავე მეცნიერის სიტყვით, ადგილობრივი მკვიდრნი უწერის ტუტოვან წყლებს ჩვეულებრივი სასმელი წყლის მაგიერ და პურის მოსაზელადაც ხმარობდნენ (Reisen I 290).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ასეთ სამკურნალო წყლების გარდა, ვახუშტს შეტანილი აქვს ცნობები მთელი რიგი მლაშე და მწარე წყლების შესახებაც, რომელთა სამკურნალო მიზნით გამოყენების შესახებ მას არაფერი აქვს ნათქვამი. მაგ. ჯვარის მონასტერთან: „კლდესა შინა დის წყარო წმიდის ნინოსაგან, სასმისად კეთილი და ჰკურნებს სენთა და არს გარემონი მისნი (იგულისხმება წყაროები) მლაშე და მწარენი და იგი ფრიად ტკბილი“-ო (ვახუშტი გეოგრაფია 302).

ამგვარადვე, ვახუშტის სიტყვით, გარეჯის მთების მიდამოებში, თუ წყაროები მოიპოვება,

„არს მლაშენი და მწარე-
ნი“-ო (ვახუშტი, გეოგრაფია
288).

ვახუშტ ბატონიშვილს დასა-
ხელებული აქვს სამკურნალო წყ-
ლები, რომელთაც, როგორც ეტ-
ყობა, ღვიძლისა და ნივთიერებათა
გაცვლა-გამოცვლის დაავადების
დროს სვამდნენ. მაგ., მისი სიტყვით
დიდ-გორის მთაზე „არს წყა-
რო, ცივებით გაყვითლე-
ბულმან უკეთუ სვას და
დაიბანოს პირი, წამს განკურ-
ნებს. იყო ძველად მეფეთა სად-
გური ზაფხულის“-ო (ვახუშტი,
გეოგრაფია 178).

ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ
საქართველოში, სახელდობრ ნა-
ქალაქევს დბანისში „არს წყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო, რომელი ჰკურნებს მუწ-
უკთა. აქვე არს წყარო, რომელი
დაამსხვრევს ქვასა შირი-
მისასა და დააყრევინებს
ხმითა“-ო (ვახუშტი, გეოგრაფია
152).

„შირიმი“, საბა ორბე-
ლიანის განმარტებით, „თირკმ-
ლისა და (საშარდე) ბუშტის ქვა“-ს
ეწოდებოდა (ლექსიკ) სახელოვანი
ქართველი ლექსიკოგრაფის განმა-
რტება სწორე უნდა იყოს, რათგან
„შირიმ“-ი ალბად სპარსული სი-
ტყვა شرم „შერემ“-ი უნდა იყოს,
რომელიც სირცხვილსა და კდემას
ნიშნავს, მაგრამ აგრეთვე სარცხვი-
ნელსაც ე. ი. სასქესო ორგანო-
საც. ამგვარად, „შირიმის ქვა“,
სიტყვა-სიტყვით ნათარგმნი, სარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხვინელის, ანუ ნამდვილად საშარდე ბუშტის ქვას ნიშნავდა. მაგრამ, როგორც საბა ორბელიანის განმარტებითგან ჩანს, ქართულ სამკურნალო მწერლობაში ეს ტერმინი თირკმელის ქვის აღსანიშნავადაც იხმარებოდა. რათგან საშარდე ბუშტის ქვის აღმნიშვნელ ტერმინად სპარსულში سنگ مثانه „სანგ-ი მათანეჰ“ (ქვა მათნისა, საშარდე ბუშტისა) არის, ამიტომ „შირიმის ქვა“-ს ასეთი თავისებური მნიშვნელობა ქართულ ნიადაგზე უნდა ჰქონდეს მინიჭებული.

ზემონათქვამითგან ცხადი ხდება, რომ დბანისის წყალი თირკმელა-საშარდე ორგანოების ქვების დამშლელ სამკურნალო საშუალე-

ბად ყოფილა საქართველოში მიჩნეული.

წინ-წყაროში „არს წყარო, უკეთუ მით მოხარშო მარცვალნი რომელნიმე და დღეთა შენთა ხარშო, ვერა-ოდეს მოხარშავს, გარნა სასმელად და საკმარად კეთილი“-აო (ვახუშტი გეოგრაფია 172).

ვახუშტის სიტყვით, „არადეთს არს ჭა მარიამული, [1]) რომელი ჰკურნებს ბრაზიანის ნაკბენს სმითა“-ო

---

[1]) ბროსსეს ცნობით, „მარიამულა“ სამეცნოვან ლექსიკონში mouche cantharide-ად ყოფილა განმარტებული (გეოგრაფია 260 შენ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ვახუშტი გეოგრაფია 260—62). რაკი ბრაზი ძველ ქართულში ცოფს ნიშნავდა, გამოდის, რომ არადეთის ჭის წყალი ვითომც ცოფიანის ნაკბენის გამკურნებელი საშუალება უნდა ყოფილიყო.

ალსანიშნავია, რომ უბრალო ცივის წყლის აბაზანაც ყოფილა სამეგრელოსა და აფხაზეთში სამდღეული და ოთხდღეული ციების წინააღმდეგ სამკურნალო საშუალებად მიჩნეული. გამოაჩნდებოდა თუ არა ავადმყოფს ციება, მდინარე წყალზე წაიყვანდენ და გაშიშვლებულს ყელამდე ცივ წყალში ჩასვამდენ და თურმე ასე დიდ ხანს წყალში ჰყავდათ. იქითგან ამოყვანილს ლოგინში ჩააწვენდენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლმე (არქანჯელო ლამბერტი სამეგრელოს აღწერა 109). არქანჯელო ლამბერტის სიტყვით, სამეგრელოში ამტკიცებდენ, რომ „ამის შემდეგ ავადმყოფი უკეთ გრძნობს თავის თავსა“-ო (იქვე).

ვახუშტ ბატონიშვილს აღნიშნული აქვს, რომ „ხვწის პირისპირ, ლიახვის გალმა კიდურს არს მიწა სასუნებელი და უდის სუნი ფრიად ძნელი, არამედ კურნებს ქარსა, სევდასა და ინთილასა სუნებითა, გარნა მსუნებელი შებნდების სუნებითა“-ო (გეოგრაფია 266—258). ასეთივე სასუნებელი მიწის არსებობა ვახუშტს დასავლეთ საქართველოშიც აქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალნიშნული. მას სახელდობრ ნათქვამი აქვს: „ონის პირის-პირ, რიონის ჩრდილოთ, მთის კალთასა შინა მაღლა არს ძეგლევი... ამას ზეით არს დაბა უწერა რიონის ორსავე კიდესა ზედა... აქავ არს მიწა, რომელსა უწოდებენ სასუნებლად, რომელი დავსწერეთ ქართლსაცა, არამედ ესე უმეტეს ძალიანი, რამეთუ გარდაფრენილი ფრინველი მასზე ჩამოვარდების სუნისაგან.

გარნა არს ესე ონსაცა, ესევე უმჯობესი“-ო (გეოგრაფია 380).

ქართველი სახელოვანი მეცნიერის ყველა ამ ცნობებს გერმანელი მეცნიერი აკად. ან. გულდენ-

შტედტის მოგზაურობაც ადასტურებს. სახელდობრ, აკად. ან. გულდენშტედტის [1]) სიტყვით, გორთან (bey Gori) თითქოს მლაშე ტბა უნდა ყოფილიყო, ხოლო ონის მახლობლად ერთ ალაგას იის სუნი ისმის, რომელიც ამ მარილისაგან უნდა ფშვიდეს. ადგილობრივი მცხოვრებნი ამის ორთქლს ქარების წინააღმდეგ ხმაროობენ. ამისათვის მიწაში

[1] „Die Einwohner bedienen sich dieser Dünste wieder Gliederreissen. Sie machen kleine Gruben und setzen in dieselben Rohrhalme in die Erde auf welcher sie die Luft einziehen; viele aber werden hierüber verrückt oder bekommen spasmodiches Zittern der Glieder“ (Reisen I, 280)

ორმოებს სთხრიან, შიგ ლერწმის ლულას სდებენ, რომლითაც ჰაერი შედის. მაგრამ ბევრნი ამისგან გიჟდებიან, ან ასოთა სპაზმური თრთოლა ემართებათო. ძეგლევში (Seglevi) ცხელი წყლის წყაროები უნდა იყოსო (Reisen I, 280).

გვლდენშტედტსაც ნათქვამი აქვს, რომ უწერას სამკურნალო წყლების გარეშემო, ონის მსგზავსად

ის სუნი იდგა, მეტადრე იქ თურმე, სადაც ახალი ორმოები იყო ამოთხრილი. ადგილობრივი მცხოვრებნი აქაც იმავე წესით ქარებითა და ართრიტით (gichterische Kranken) დაავადებულებს სწამლობდენ (Reisen I, 290).

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ზემომოყვანილი ცნობებითგან ჩანს, აქ ორთქლის, ან უკეთ რომ ითქვას, აირების აბაზანების, ან ერთგვარი ინჰოლატორიუმი ყოფილა ქარებისაგან დაავადებულთათვის უმთავრესად. „ინთილა“ რა ავადმყოფობა იყო, საბა ორბელიანს განმარტებული არა აქვს, ჩუბინიშვილის სიტყვით კი თითქოს კუჭნაწლავების მოშლილობის ავადმყოფობა უნდა ყოფილიყო, მაგრამ არა ჩანს, რაზეა ეს განმარტება დამყარებული და საეჭვოა რომ სწორე იყო.

დასასრულ, ვახუშტის სიტყვით, „ჭერემს, ვეჯინს ჩრდილოთ, მთის კალთას არს ახტალა, რომელსა იტყვიან ნასოფლარს და რი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვით დანთქმულსა. აღმოდის კუპრი, ვითარცა მდულარე“-ო (ვახუშტი, გეოგრაფია 314). სახელოვანი გეოგრაფის ამ ცნობითგან არ ჩანს, რომ ამ ახტალის „მდულარე კუპრი“ სამკურნალოდ გამოყენებული ყოფილიყო.

ზემომოყვანილი ცნობების სიმცირისდა მიუხედავად, მგონია მაინც უდავოდ მტკიცდება, რომ საქართველოში სამკურნალო წყლებით სარგებლობა დიდი ხანია და ფართოდ ყოფილა გავრცელებული. სამკურნალო წყლები სხვადასხვა ავადმყოფობის დროს უხმარიათ. ცხელი და ცივი (ალბად გაცხელებული) გოგირდის წყლები უმთავრესად ქარების წინააღმდეგ და კანის ავადმყოფობის დროს, მუწუკების და ბუგრისაგან, განსაკურნავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბა ორბელიანის სიტ-
ყვით, ბუგრად იგულისხმება „კარა-
ბადინში მსხმო რაინ მუწუკათ, ვიეთ-
ნიმე ყვავილსა და წითელას სენთა
უხმობენ“-ო (ლექსიკონი). თავის
განმარტების სისწორის დასამტკი-
ცებლად, ოსეს 7₅ აქვს დამოწმე-
ბული, რომელშიაც ნათქვამია:
„განირთხა კელი მისი ბუგრი-
ანთა თანა“-ო. ბერძნულ დაბა-
დებაში ბუგრის შესატყვისად სწე-
რია ὁ λοιμὸς „ჰო ლოიმოს“, რაც
ძველ ლათინურს lues-ს უდრის, ე. ი.
გადამდებ სნეულებას ჰნიშნავს,
ჭირს, შავ-ჭირს ეწოდებოდა. რა-
საკვირველია, ვახუშტის ცნო-
ბებში სრულებით შავ-ჭირსა და
გადამდებ მოარულზე არ უნდა
იყოს საუბარი, არამედ ბუგრად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანზე გამონაყარი უნდა იგულისხმებოდეს, ალბათ ჩვეულებრივ მუწუკებზე უფრო ძნელად მოსარჩენი. ამის, ქარებისა და კანის ავადმყოფობათა ასეთ განმკურნებელ წყლებად განთქმული ყოფილა.

შემდეგ აღსანიშნავია, რომ საკურნალო წყლებს, როგორც დავრწმუნდით, სასმელადაც ხმარობდენ, ასეთი შინაგანი დანიშნულების წყლები ორ მთავარ ჯგუფად იყოფებიან: ერთს მომნელებელ ორგანოს, კუჭ-ნაწლავების დაავადებისგან განსაკურნებელად მიჩნეულნი შეადგენდენ ე. ი. „მომდინობნი და მომნელებელნი“ წყლები, რომელნიც საჭმლის მონელებას შველოდენ. ასეთი თვისების წყლებად მიჩნეული ყოფილან: არჯევნის მთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხემზე მყოფი, ფარავნის ტბასთან მდებარე, ვეძას, სიონსა, კობსა და უწერაში გამომდინარე წყლები.

რკინოვანი წყლები სიონსა, კობსა და უწერაში ყოფილა მაშინ ცნობილი.

მეორეს მხრით, ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის დაავადების განმკურნებელ წყლებად ითვლებოდენ: დბანისის წყარო, რომელიც თირკმლისა და შარდ-სადინარის. გზებისა და ორგანოს ქვების დამშლელ საშუალებად ყოფილა ცნობილი, და დიდ-გორის წყარო, რომელიც ქრონიკული მალარიის ნიადაგზე წარმოშობილი ღვიძლის დაავადებისაგან გამკურნებელ საშუალებად ყოფილა ცნობილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრულ, აღსანიშნავია „სასუ-
ნებელი მიწის“ ხმარებაც, რომელიც
აღმოსავლეთსაცა და დასავლეთ
საქართველოშიც ყოფილა: ხვწის
მახლობლად ლიახვის გაღმა, უწე-
რასა და ონში. ამ „სასუნებელი
მიწის“ სამკურნალო მიზნით გამო-
ყენების ნამდვილი ვითარების გა-
გება, არსებული მასალის მიხე-
დვით, შეუძლებელი ხდება, რათ-
გან, ზოგიერთ სნეულებათა ტერმი-
ნების გამოურკვევლობის გამო,
ძნელი სათქმელია, თუ რომელი
ავადმყოფის საწინააღმდეგო საშუ-
ალებად ითვლებოდა იგი. ცხადია
მაინც, რომ აქ ჩვენ ერთგვარი ინ-
ჰოლატორიუმის ჩანასახთან გვაქვს
საქმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემონათქვამითგან ირკვევა, რომ საქართველოში ძველად მიღებული ყოფილა სამკურნალო წყლებით მკურნალობა გარეგანი საშუალების სახით, აბაზანებად და შინაგან დასალევად, სასმელად, ან ერთსადაიმავე დროს გარეგან და შინაგან საშუალებად. ამას გარდა, ცნობილი ყოფილა ორთქლით, ან აირებით წამლობაც „სასუნებელი მიწის“ ერთგვარი ინჰოლაციის სახით.

სამკურნალო წყლების მოწყობილობის შესახებ მეტად მცირე ცნობები მოგვეპოვება. ზემომოყვანილი ამონაწერებითგან საგულისხმებელია, რომ ამ წყლებითგან მხოლოდ ტფილისში და ორძრხეში, რომელსაც რუსებმა აბასთუმანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწოდეს, ყოფილა აგებული აბანოები და აბაზანები არსებობდა. სხვაგან მე-18-მე საუკ. სამკურნალო წყლები მოუწყობელი ჩანს. მაგრამ ამაზე წინათ, როდესაც საქართველო პოლიტიკურად და კულტურულად ჯერ დაქვეითებული არ იყო, უეჭველია, აბანოები, ზოგან მაინც, სხვაგანაც უნდა ყოფილიყო. ამას ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ძველ დბანისში მე-19-ტე საუკუნეშიაც-კი ჩანდა და ეხლაც მოჩანს აბანოს ნანგრევები, რომელთა შესახებ ვახუშტს მაინც არაფერი აქვს ნათქვამი. მაშასადამე იგი უკვე დიდი ხანია განადგურებული ყოფილა. ასევე შეიძლება მომხდარიყო სხვაგანაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ ვახუშტ ბატონიშვილისა ტ აკად. ან. გულდენშტედტის თხზულებებში საქართველოში ძველად ცნობილი სამკურნალო წყლების მხოლოდ მცირედი რიცხვი იხსენიება. იქ შეტანილია ცნობები მხოლოდ განთქმული სამკურნალო წყლების შესახებ. მარტო გეოგრაფიული სახელისა და რუკის საშუალებითაც შეუძლიან მკვლევარს გამოარკიოს, თუ სად უნდა იყოს კიდევ საქართველოში ძველადვე ცნობილი, მაგრამ გეოგრაფიულ მწერლობაში აღუნუსხველი სამკურნალო წყალი. ქართველი ყველა ასეთ ადგილებს „აბანო"-ს არქმევდა და, მარტო 5 ვერსიანი რუკა რომ გადასინჯოთ, იქ რვა ამგვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელის მქონებელი ადგილია აღ-ნიშნული: ხუთი „აბანო“ (იხ. დ6: 61—15, 42—15.-61—15, 42—30.-61—15, 42—45.—ე6: 62—00, 42—45.—60—00, 42—25.—63—00, 42—15), „აბანოს წყალი“, ანუ „ლოპნის წყალი“ (იხ. ლ6: 61—15, 42—15) „აბანაური“ (იხ. დ6: 61—15, 42—30) და „აბანოეთი“ (იხ. დ6: 60—30, 42—45). უფრო დიდი მასშტაბის რუკები რომ ყოფილიყო, ასეთი სახელის მქონე-ბელი გეოგრაფიული ადგილების შესახებ, რასაკვირველია, ამაზედ გაცილებით მეტი ცნობები გვექ-ნებოდა.

ამგვარადვე, რაკი ეხლა ვიცით, რომ ვეძა ძველ ქართულში ტუ-ტოვანსა და მლაშე მინერალურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალსა ნიშნავდა, შეგვიძლიან დანამდვილებით ვსთქვათ, რომ ვეძათში, ვეძათ-ხევსა, ვეძის-ხევსა და ვეძინშიც (თიანეთის ყოფ. მაზრა, 5—ვერს. რუკაზე ე6 62° 30'—42°00' და ტფილისის ყოფ. მაზრა, ე7:62° 15—42°00) ასეთივე თვისების წყალი უნდა იყოს.

დასასრულ საინტერესო იყო სამკურნალო წყლებით მკურნალობის საქართველოში მიღებული წესი და რეჟიმი ყოფილიყო შესწავლილი, მაგრამ ამ საკითხის გამოსარკვევად სულ სხვანაირი მწერლობის ძეგლების გადასინჯვა და გადაკითხვა იყო საჭირო, რომლისთვისაც მე ამ ჟამად სრულებით არ მცალიან, ამიტომ ამაზე სამწუხაროდ დღესდღეობით არაფრის თქმა არ შემიძლიან.

5
50 კაპ.
K 13.455
1
ეროვნული ბიბლიოთეკა

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
K 13.455/1